შეთანხმება N1

შუახევის მუნიციპალიტეტსა და იმ „ოთარ ტაკიძეს“ შორის 2015 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 291 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დაბა შუახევი

24 დეკემბერი 2015 წელი

2015 წლის 21 ოქტომბერს შუახევის მუნიციპალიტეტსა და იმ „ოთარ ტაკიძეს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 291 შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთაში გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ღირებულებით 16520(თექვსმეტი ათას ხუთას ოცი)ლარი

2015 წლის 08 ნოემბერს ინდ. მეწარმე ოთარი ტაკიძემ მოგვმართა წერილით შესრულებული სამუშაოების დაფინანსების შესახებ და გზის შემდგომი მშენებლობის ნებართვის შესახებ. კომისიის მიერ შემოწმებული იქნა აღნიშნული სამუშაოები, რაზეც განხორციელდა დაფინანსება 24,37% თანხით- 4026 ლარი. მშენებლობის ნებართვის შესახებ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 13-ოქტომბერს 01-19/1354. 1355 წერილით მიმართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს, რაზეც თანხმობა არ მიუღია გამგეობას.

ინდ. მეწარმე ოთარი ტაკიძემ გააგრძელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, მაგრამ სსიპ სატყეო საგენტოს წარმომადგენლებმა სამუშაო შეაჩერებინეს ნებართვის გაცემამდე. ამის შემდგომ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კვლავ მიმართა წერილობით (17,11,2015 წელი 07/1936) აჭარის სს სატყეო სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წინაშე აღნიშნული გზის მშენებლობის ნებართვის მისაღებად შუამდგომლობაზე. საიდანაც სანებართვო წერილი ჯერ არ მიუღია მუნიციპალიტეტის გამგეობას.

ინდ. მეწარმე ოთარი ტაკიძემ 2015 წლის 14 დეკემბერს N 2470/07 განცხადებით მიმართა გამგეობას # 291 ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით და მოცემული დროისთვის შესრულებული სამუშაოს დაფინანსებაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული გარემოებები და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია:

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს საჯარიმო სანქციის გარეშე. ვინაიდან ეს არა გამოწვეული(ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება) მიმწოდებლის ბრალეულობით.
2. შესრულებულ სამუშაოზე მოხდეს ანგარიშსწორება
3. ნარჩენი თანხა 5294 ლარი გადავიდეს 2016 წლის ბიუჯეტში და საბოლოო ანგარიშსწორება მოხდეს სამუშაოების 100%-ით დასრულების შემდეგ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი და მეორეს მხრივ, იმ „ოთარ ტაკიძე“, მოქმედი კანონმდებლობისა და **მხარეებს შორის** 2015 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 291 ხელშეკრულების მე-10-ე მუხლის საფუძველზე შეთანხმდით შემდეგზე:

1.შევიდეს ცვლილება შუახევის მუნიციპალიტეტსა და იმ **„ოთარ ტაკიძეს“**, შორის 2015 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 291 ხელშეკრულებაში , კერძოდ:

ა) მე-5 მუხლის 5.1 და 5.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„5.1 სამუშაოების დასრულების ვადა-2016 წლის 31 მაისამდე პერიოდი.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 01 ივლისამდე პერიოდი

2. ხელშეკრულების დანაჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 291 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. წინამდებარე მხარეთა შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ტარიელ ებრალიძე

იმ: ოთარ ტაკიძე